საგაზეთო ჩანართი
ინტელექტი
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი
ჩემი არჩევანი - რეალური თვითმმართველობა
№5 / 2014

„თუ მოგვეცა თავისუფალი ნების გამოხატვის საშუალება, მუნიციპალიტეტის გამგებელი ხალხის რჩეული იქნება“

მუხლი 49. გამგებლის/მერის არჩევა

1. გამგებელი/მერი აირჩევა 4 წლის ვადით, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესით.

2. გამგებლად/მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც.

საქართველოს ორგანულ კანონში – ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში მიმდინარე წელს შეტანილი ცვლილებების თანახმად მუნიციპალიტეტის გამგებელს აირჩევს არა მუნიციპალიტეტის საკრებულო, არამედ მოსახლეობა პირდაპირი არჩევნებით, ფარული კენჭისყრით.

ამომრჩეველთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს ორგანულ კანონში კარგი ცვლილება განხორციელდა და გამგებლის არჩევის ახალი წესი მათთვის მისაღები და მისასალმებელია. პირდაპირი არჩევნების საწინააღმდეგო არაფერი აქვთ მუნიციპალიტეტებში საარჩევნო ოლქების თანამშრომლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის, სახელისუფლებო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს. პირობითად შეიძლება ითქვას, გამგებლის პირდაპირი, ფარული კენჭისყრით არჩევა ერთადერთი საკითხია, რომელზედაც სამთავრობო უწყებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, სახელისუფლებო პოზიციასა და ოპოზიციას და თვით მოსახლეობასაც კი ერთნაირი მოსაზრება გააჩნია. აზრთა სხვადასხვაობა არის გამგებლის ასაკის, პარტიულობისა და უნდობლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით.

ნუგზარ კეკელიძე, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“: „49-ე მუხლის პირველი პუნქტით გამგებელი/მერი თანამდებობაზე აირჩევა პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, რაც ვფიქრობ, ქვეყნის დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთი წარმატებული ნაბიჯია.

წინა წლებში გამგებელს აირჩევდა საკრებულო. ამ შემთხვევაში დიდი ალბათობაა უპირატესობა ჰქონოდა იმ პარტიის კანდიდატს, რომელსაც უმრავლესობა ჰყავდა საკრებულოში. ამჟამად მოქმედი კანონით კი მოსახლეობას საშუალება ეძლევა არჩევანი გააკეთოს რამდენიმე კანდიდატს შორის საუკეთესოზე. მიმაჩნია, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი გამგებლის არჩევის 50%-იანი ბარიერი ხელს შეუწყობს თითოეული კანდიდატისთვის კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ გამგებლის ასაკი განსაზღვრული უნდა იყოს არა 25 წლიდან, არამედ 30 წლიდან, რადგან გამგებლის პოსტზე ადამიანს მეტი გამოცდილება და პასუხისმგებლობა მოეთხოვება“.

მადონა ბერიძე, სამართლიანი არჩევნების აჭარა-გურია-ფოთის რეგიონული კოორდინატორი: „მივესალმებით გამგებლის/მერის პირდაპირი წესით არჩევას, რადგან ამით იზრდება მათი, როგორც აღმასრულებელი ორგანოს როლი და პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე, რაც, თავის მხრივ, ქმნის უფრო მეტ ანგარიშგების ვალდებულებას. აღმასრულებელი ორგანოს პირდაპირი არჩევნები ზრდის, ასევე, დემოკრატიულობის ხარისხს და ამალღებს მოსახლეობის ნდობას არჩეული თანამდებობის პირის მიმართ. პირდაპირი არჩევნების საშუალებით უფრო ახლო კავშირი დამყარდება ამომრჩეველსა და არჩეულ მერს/გამგებელს შორის. მერის/გამგებლის პირდაპირი წესით არჩევის მნიშვნელობას აკნინებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ის ნორმა, რომლითაც საკრებულოს შეუძლია მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ არჩეულ თანამდებობის პირს უნდობლობა გამოუცხადოს და გადააყენოს. გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების ინიციირება შეუძლია საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ნახევარზე მეტს ან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 20%-ს. უნდობლობის გამოცხადების მექანიზმი, ვფიქრობთ, აკნინებს მერის/გამგებლის პირდაპირი წესით არჩევის მნიშვნელობას. წინააღმდეგობაში მოდის პირდაპირი არჩევნების პრინციპთან და დეცენტრალიზაციის რეფორმის მთავარ ამოცანასთან, გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობებში. გარდა ამისა, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ აღნიშნული მექანიზმი გამოყენებული იყოს პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად. „სამართლიანმა არჩევნებმა“ არაერთხელ მოვუწოდეთ ხელისუფლებას, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტის განხილვის პროცესში გაეუქმებინა ეს ნორმა, თუმცა, ეს რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული“.

გენო გელაძე, „დემოკრატიის ინსტიტუტი“: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ინიციატივა, რომელიც გამგებლის პირდაპირი წესით არჩევას გულისხმობს, ვფიქრობ, წინგადადგმული ნაბიჯია თვითმმართველობის რეფორმირების პროცესში, თუმცა კარგი იქნებოდა გამგებლის კანდიდატების დასახელების უფლება საინიციატივო ჯგუფებსაც ჰქონოდათ. ამ ეტაპზე გამგებლის კანდიდატის დასახელების უფლება მხოლოდ პოლიტიკურ პარტიას გააჩნია, მაშინ როცა საქართველოში ცხოვრობს და მოღვაწეობს ძალიან ბევრი კვალიფიციური და გამოცდილი ადამიანი, რომელიც არ არის არც ერთ პარტიაში და მათ დამოუკიდებლად გამგებლის კანდიდატად რეგისტრაციის უფლება არ აქვთ. ეს არ მიმაჩნია სწორად. პარტიულობა არ უნდა იყოს გამგებლის თანამდებობის დაკავების წინაპირობა. ჩემი აზრით, ეს რეფორმის უარყოფითი მხარეა. რატომ გვინდა, რომ საქართველოში თანამდებობის დაკავება მაინცადამაინც პოლიტიკურ პარტიას უკავშირდებოდეს? რვაჯერ პარტიაგამოცვლილ ჩინოვნიკებს უპარტიო პროფესიონალი არ ჯობია? მით უფრო გამგებლის თანამდებობა, რომელიც თავისი ხასიათით მეურნე უფროა, ვიდრე პოლიტიკოსი. გამგებელს პოლიტიკოსობა საერთოდ არ უნდა მოეთხოვებოდეს. აქვე მნიშვნელოვანია ერთი გარემოებაც: ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული გამგებლის გადარჩევის უფლება საკრებულოსათვის არც ერთ შემთხვევაში არ არის გამართლებული. გამოდის, რომ არჩეული გამგებელი ექვემდებარება საკრებულოს პოლიტიკურ უმრავლესობას, რაც პირდაპირი ფორმით არჩევითობის საკითხს ხარისხს უკარგავს და ანგარიშვალდებულების პრინციპს ენინააღმდეგება.“

ზაურ აბაშიძე, პედაგოგი: „საზოგადოებისთვის მისაღებია გამგებლის არჩევის ახალი წესი, მე ვფიქრობ, ახალი გამგებელი მეტად ანგარიშვალდებული იქნება ხალხის წინაშე, ვიდრე რომელიმე პარტიისა თუ გავლენიანი ჩინოვნიკის მიერ დასახელებული და სკამზე დასმული გამგებელი.“

რეზო პაქსაძე, პედაგოგი: „თუ მოგვეცა თავისუფალი ნების გამოხატვის საშუალება, მუნიციპალიტეტის გამგებელი ხალხის რჩეული იქნება. გამგებელმა მოსახლეობას უნდა მოუსმინოს, ხალხის პრობლემები გაიზიაროს, გაითავისოს და გადაჭრის გზებზე იფიქროს. ასე ხალხთანაც უფრო ახლოს იქნება და ჩვენც იმედი გვექნება მისი.“

დავით არძენაძე, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“: „ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტებში გამგებელი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით დემოკრატიული წყობისკენ გადადგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, თუმცა როგორც საარჩევნო, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში გვრჩება რიგი საკითხებისა, რომელიც საჭიროებს დახვეწას და რიგ შემთხვევაში თავისთავში მოიცავს საფრთხეებს.

საარჩევნო კოდექსის 169[1] მუხლის თანახმად, თუ კანდიდატმა ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმებია 50 %-ზე მეტი, დანიშნება მეორე ტური, რაც დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული, ხოლო თუ არჩევნების მეორე ტურში კანდიდატებმა თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღეს, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო. თუ ხმათა ეს რაოდენობებიც ტოლი აღმოჩნდა, გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია. ჩემი მოსაზრებით საარჩევნო კოდექსის 169[1] მუხლი მოკლებულია გარკვეულ ლოგიკას და საქმე გვაქვს ერთგვარ მარათონთან.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურები, რომლის მიხედვითაც ამომრჩეველთა უმრავლესობის მიერ არჩეული გამგებლის/მერის უნდობლობის გამოცხადების ინიცირების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 20-პროცენტს. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 51 მუხლი რჩება ერთ-ერთ სახიფათო „დამოკლეს მახვილად“, რის საფუძველზეც გამგებელი/მერი თვითგადარჩენის მიზნით გადაწყვეტილებების მიღების დროს მნიშვნელოვნად რჩება დამოკიდებული საკრებულოზე.

ვიმედოვნებ, რომ მომავალი არჩევნებისათვის კანონმდებლობაში მოხდება აღნიშნული შავი ხვრელების ამოვსება.“

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“. ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: თეონა კაპანაძე

მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 24-16-40, ფაქსი: 24-16-50
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge